



სახელმწიფო აუდიტის სამსახური

“ ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ ”

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. გიგიაშვილი

ფრიდონ შენგელია

„*25*“ „*01*“ 2016 წელი

ეგზ. N2

საჯარო სამართლის იურიდიული პირი საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის
შესაბამისობის აუდიტის ანგარიში *012/36*

2013 წლის 1 იანვარი-2015 წლის 1 ივლისი

შინაარსი

ორგანიზაციის საქმიანობის მიმოხილვა.....	4
შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები.....	6
სამსახურის ქონება	6
სამსახურის ავტომობილები და მათზე გაწეული ხარჯი.....	7
ქონების უსასყიდლოდ გადაცემა	9
ცვეთის დარიცხვა.....	9
სამსახურის შემოსავლები	10
გადასახადები	11
შესყიდვები.....	12
<i>შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების განსაზღვრა, ბაზრის კვლევა</i>	<i>13</i>
<i>გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვა.....</i>	<i>14</i>

აუდიტის მასშტაბი

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საჯარო სამართლის იურიდიული პირი-საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე პერიოდში განხორციელებული საქმიანობის კანონმდებლობასთან და სხვა მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობის აუდიტი.

აუდიტის ანგარიშის დანიშნულება

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის დანიშნულებაა, აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს მიაწოდოს ინფორმაცია ყველა იმ საკითხზე, რომელიც რისკების, შეუსაბამოებების ან/და ნაკლოვანების სახით გამოვლენილი იქნა განსაზღვრული აუდიტის მასშტაბიდან.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე. ასევე პასუხისმგებელია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმდაგვარი წარმართვისათვის, რომ გამოირიცხოს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეული არსებითი კანონშეუსაბამოებები.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტორი პასუხისმგებელია, აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორესა და მიზანშეწონილობაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (ISSAI 4100), რომელიც მოიცავს შესაბამისობის აუდიტის ჩატარებას, განცალკევებით ფინანსური ანგარიშგების აუდიტისაგან. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის 2013 წლის 1 იანვრიდან 2015 წლის 1 ივლისამდე საქმიანობა არ შეიცავს

მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებით შეუსაბამობის ფაქტებს.

აუდიტორული პროცედურები წარიმართა აუდიტორის პროფესიულ მსჯელობებზე დაყრდნობით, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომელიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით.

შესაბამისობის აუდიტის ანგარიშის ფორმა

შესაბამისობის აუდიტის ანგარიში შედგენილია უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4100) მოთხოვნების მიხედვით - „ანგარიში ვრცელი ფორმით“. „ანგარიში ვრცელი ფორმით“ გულისხმობს აუდიტის შედეგებისა და გამოვლენილი გარემოებების უფრო დეტალურ განხილვას, რაც ეხმარება აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებს საკითხების ყოველმხრივ გაგებასა და მასზე დაყრდნობით ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებაში.

შემოკლებანი

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური-სამსახური
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო-ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს საგადასახადო კოდექსი-სსკ

ორგანიზაციის საქმიანობის მიმოხილვა

საფინანსო-ანალიტიკური სამსახური წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, რომელიც საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №385 ბრძანებით განსაზღვრულია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის შექმნის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 11 მარტის №160 ბრძანებულებით შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის უფლებამონაცვლედ.

სამსახური შექმნილია საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და სხვა სახელმწიფო უწყებების ინფორმაციული ტექნოლოგიების განვითარების, ბიზნესპროცესების ავტომატიზების უზრუნველყოფის და ინფორმაციული უსაფრთხოების სისტემების დანერგვის ხელშეწყობის, ელექტრონული მთავრობისა და ელექტრონული მმართველობის კომპონენტების განვითარებისა და შესაბამისი ელექტრონული სერვისების მიწოდების, აგრეთვე, საქართველოს ფინანსთა

სამინისტროს ინფორმაციული და ანალიტიკური მხარდაჭერის უზრუნველყოფის და ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის მართვის, საინფორმაციო სისტემების ქვეყნის საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცეში ინტეგრაციის, სახელმწიფო და მუნიციპალური სერვისების დანერგვის მიზნით.

სამსახურის დაფინანსების წყაროებია შესაბამისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები და ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავლები.

სხვადასხვა საწარმოსა და ორგანიზაციებისთვის გაწეული მომსახურების საფასური სამსახურს ერიცხება კომერციულ ბანკში გახსნილ მიმდინარე ანგარიშსწორების ანგარიშზე, საიდანაც ხდება მათი გადატანა იმავე ბანკში გახსნილ საანაბრო ანგარიშზე, რომელზეც სარგებლის დარიცხვა წარმოებს წლიური 7.5%-ის ოდენობით.

სამსახურისთვის გამოყოფილი ბიუჯეტის ასიგნებები და შესრულება მოცემულია ცხრილის სახით:

2013 წელი

ათასი ლარი

საბიუჯეტო კლასიფიკაცია	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
სულ	7,800.00	8,529.71	8,120.88
ხარჯები	5,523.50	4,977.21	4,952.86
შრომის ანაზღაურება	3,027.50	2,912.50	2,904.16
არაფინანსური აქტივები	2,276.50	3,552.50	3,167.75

2014 წელი

ათასი ლარი

საბიუჯეტო კლასიფიკაცია	დამტკიცებული ბიუჯეტი	დაზუსტებული გეგმა	საკასო ხარჯი
სულ	7,800.00	7,766.42	7,663.70
ხარჯები	5,136.00	5,654.13	5,558.22
შრომის ანაზღაურება	3,028.00	3,003.00	2,992.88
არაფინანსური აქტივები	2,664.00	2,108.66	2,105.45

სამსახურის 2015 წელს ბიუჯეტით დამტკიცებულმა გეგმამ შეადგინა 7,800 ათასი ლარი. საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N38 განკარგულებით „კომპანია Microsoft-ს ოფიციალური წრმომადგენლისგან კომპანია Microsoft-ის ლიცენზიების (Genuine OS Licensing და Enterprise Licensing) შესყიდვის განხორციელების თაობაზე“ სამსახურს საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოეყო 7,451.7 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი.

სამსახურის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

შესაბამისობასთან დაკავშირებით გამოვლენილი გარემოებები

სამსახურის ქონება

სამსახური განთავსებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შენობაში¹, თუმცა ვერ იქნა წარმოდგენილი აღნიშნული ქონებით სარგებლობის უფლებასთან დაკავშირებული შესაბამისი დოკუმენტაცია. ამასთან, სამსახურის მიერ არ ხდებოდა კომუნალური ხარჯების დაფარვა.

2014 წლის 25 დეკემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროსგან უსასყიდლოდ, უვადო სარგებლობის უფლებით სამსახურისთვის გადაცემულია ქ.თბილისში დიდი ხეივნის ქ. N3-ში მდებარე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1,101,568 ლარის ღირებულების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი N:01.18.05.002.056, ფართობი 8,606 კვ.მ) მასზე განთავსებული N1 და N2 შენობა-ნაგებობებით. სამსახურის ბალანსზე ასახულია მხოლოდ მიწის ნაკვეთის ღირებულება, რადგანაც მხარეებს შორის ქონების გადაცემასთან დაკავშირებით გაფორმებულ არცერთ დოკუმენტაციაში მითითებული არ არის შენობა-ნაგებობის ღირებულება. 2015 წლის 17 ივნისს სამსახურმა წერილობით² მიმართა სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს შენობა-ნაგებობების ღირებულების დადგენის მიზნით, რაც ამ უკანასკნელის მიერ ვერ იქნა განსაზღვრული³ მათი ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის არქონის გამო.

¹ ქ. თბილისი, ვ.გორგასლის ქ. N:16. 20

² წერილი N22/6231

³ 2015 წლის 1 ოქტომბრის წერილი N5005038115

რეკომენდაცია N1

სსიპ საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა უზრუნველყოს ფინანსთა სამინისტროს ქონებით (შენობით) სარგებლობასთან დაკავშირებით შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმება. გამონახოს ალტერნატიული გზები და განახორციელოს შესაბამისი ქმედითი ღონისძიებები დიდი ხეივანის ქ. N3-ში მდებარე შენობების საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

სამსახურის ავტომობილები და მათზე გაწეული ხარჯი

სამსახურის ბალანსზე 2013-2014 წლებში ირიცხებოდა 5 ავტომობილი, ხოლო 2015 წლის 1 ივლისის მდგომარეობით - 6 ავტომობილი⁴. „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მოთხოვნათა შესაბამისად, სამსახურის უფროსის 2014 წლის 28 მარტის N25 ბრძანებით სამსახურის ბალანსზე რიცხული 4 ავტოსატრანსპორტო საშუალების დანიშნულება განსაზღვრულია როგორც „სამორიგეო“, ხოლო ერთი ავტომობილის-„განპიროვნებული“.

მთავრობის ამავე დადგენილების მე-2 მუხლის მიხედვით, სამორიგეო ავტომობილი გამოიყოფა ყოველი კონკრეტული მოთხოვნის საფუძველზე დაწესებულების კონკრეტულ თანამშრომელზე. აუდიტით დადგინდა, რომ 2014 წელს სამორიგეო ავტომობილების გამოყოფაზე მოთხოვნის ინიცირება დოკუმენტურად არ ხდებოდა, ხოლო 2015 წელს სამსახურის მიერ შემუშავებული ფორმა (ელექტრონული) აუდიტის ჯგუფის აზრით სრულად ვერ აკმაყოფილებს ზემოთ ხსენებული დადგენილების მოთხოვნებს, კერძოდ:

- არ შეიცავს სამსახურის უფროსის ან სხვა უფლებამოსილი პირის თანხმობას ავტომობილის გამოყოფაზე.
- არ შეიცავს ინფორმაციას, თუ კონკრეტულად რომელი სამორიგეო ავტომობილის გამოყოფა ხდება შესაბამისი მოთხოვნის მიხედვით.

სამსახურის ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალება MITSUBISHI PAJERO სახ.ნომრით GNG-535, 2015 წლის ივლისამდე იმყოფებოდა სამსახურის უფროსის სამსახურებრივ დროებით სარგებლობაში. სამსახურის უფროსის

⁴ 2015 წელს სსიპ საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურს 1 ავტომობილი უსასყიდლოდ გადმოეცა ფინანსთა სამინისტროსგან.

ბრძანებით 2013 წლის იანვრიდან 2014 წლის სექტემბრამდე აღნიშნულ ავტომობილზე საწვავის ხარჯის ყოველთვიური ლიმიტი⁵ განსაზღვრული იყო 850 ლიტრით, ხოლო 2014 წლის ოქტომბრიდან 2015 წლის ივნისამდე - 1,200 ლიტრით, რომელთა ათვისების მაჩვენებელი ყოველი საანგარიშო თვის მიხედვით 100%-ს შეადგენდა.

აღნიშნულ ავტომობილზე საწვავის ხარჯი გაწეულია სამსახურის უფროსის ქვეყნის გარეთ მივლინებით ყოფნის პერიოდშიც, მაგალითად: 2013 წლის 26 აპრილიდან 1 მაისის ჩათვლით ავტომობილში ჩასხმული იქნა 220 ლიტრი საწვავი, მაშინ როდესაც 25 აპრილიდან 2 მაისის ჩათვლით სამსახურის უფროსი მივლინებით იმყოფებოდა ქვეყნის გარეთ; 2014 წლის 1 ივლისიდან 4 ივლისის ჩათვლით ავტომობილის საწვავით გამართვა მოხდა 182 ლიტრით, მაშინ როდესაც 29 ივნისიდან 5 ივლისის ჩათვლით სამსახურის უფროსი მივლინებით იმყოფებოდა ქვეყნის გარეთ.

ავტომანქანაზე პასუხისმგებელი პირის (მძღოლი) და სამსახურის მიერ წარმოდგენილი განმარტებებით, ზემოთ ხსენებულ პერიოდში ავტომობილი გამოიყენებოდა სამსახურის უფროსის დავალებათა შესასრულებლად, რაც განპირობებული იყო სამსახურებრივი აუცილებლობით. აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო მტკიცებულებები საწვავის ხარჯვა უკავშირდებოდა თუ არა ავტომობილის სამსახურებრივი მიზნებით სარგებლობას, რაც კონტროლის მექანიზმების სისუსტეზე მიუთითებს.

რეკომენდაცია N2

სსიპ საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა უზრუნველყოს მის ბალანსზე რიცხული ავტომობილების გამოყენება „სახელმწიფო ავტოპარკის გადანაწილების, კლასიფიკაციისა და სამსახურებრივი ავტომანქანის შესყიდვის ან ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 6 თებერვლის N121 დადგენილების მე-2 მუხლის მოთხოვნების დაცვით, კერძოდ სამორიგეო ავტომობილების გამოყოფა განხორციელდეს სამსახურის უფროსის ან სხვა უფლებამოსილი პირის თანხმობით და სამსახურის მიერ შემუშავებულ ფორმაში მიეთითოს ინფორმაცია გამოყოფილი კონკრეტული სამორიგეო ავტომობილის შესახებ.

⁵ სამსახურის მიერ შესაძენი საწვავის ოდენობები შეთანხმებული იყო საქართველოს ფინანსთა სამინისტროსთან.

ქონების უსასყიდლოდ გადაცემა

აუდირებულ პერიოდში უმეტეს შემთხვევებში სამსახური სხვადასხვა ორგანიზაციას უსასყიდლოდ გადასცემდა ქონებას ისე, რომ ქონების უსასყიდლოდ გადაცემასთან დაკავშირებით წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (მიმართვის წერილები) დაფიქსირებულია ქონების მიმღები მხარის მხოლოდ მოთხოვნა და ის არ შეიცავს დასაბუთებას, როგორც ეს დადგენილია მოქმედი ნორმატიული აქტით⁶. ამასთან, სამსახურის მიერ როგორც ფინანსთა სამინისტროს, ასევე მის სისტემაში შემავალ სხვადასხვა ორგანიზაციაზე უსასყიდლოდ გადაცემულია ისეთი აქტივები, რომლებიც მათ გადაცემამდე მცირე ხნით ადრე შეძენილია თავად სამსახურის მიერ. ასე მაგალითად:

- 2013 წლის 2 ოქტომბერს ფინანსთა სამინისტროს უსასყიდლოდ, სარგებლობის უფლებით გადაეცა სამსახურის მიერ 2013 წლის 30 სექტემბერს შეძენილი 1 ცალი მონიტორი (საბალანსო ღირებულება 686 ლარი) და 1 ცალი მაგიდის კომპიუტერი (საბალანსო ღირებულება 1,931 ლარი).
- 2014 წლის 2 ოქტომბერს ფინანსთა სამინისტროს უსასყიდლოდ გადაეცა სამსახურის მიერ 2014 წლის 24 სექტემბერს შეძენილი 2 ცალი პლანშეტური კომპიუტერი (ერთეულის საბალანსო ღირებულება-3,670 ლარი), 2 ცალი კომპიუტერის მაუსი (ერთეულის საბალანსო ღირებულება-190 ლარი) და 2 ცალი კომპიუტერის კლავიატურა (ერთეულის საბალანსო ღირებულება-340 ლარი).

რეკომენდაცია N3

სსიპ საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა აქტივების უსასყიდლოდ გადაცემა განახორციელოს დასაბუთებული მოთხოვნის შემთხვევაში საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილებით განსაზღვრული წესების დაცვით.

ცვეთის დარიცხვა

აუდიტით დადგინდა, რომ სამსახურის ბალანსზე რიცხულ ზოგიერთ გრძელვადიან მცირეფასიან აქტივზე 2013-2014 წლების მიხედვით დარიცხულია

⁶ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 1 ოქტომბრის N302 დადგენილება „სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ მიმართვის წარდგენის, მისი განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესის დამტკიცების თაობაზე“.

ცვეთა, მაშინ როდესაც „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანების მიხედვით ცვეთა ერიცხება ძირითად აქტივებს. ძირითადი აქტივი კი წარმოადგენს წარმოებულ აქტივს, რომლის გამოყენება წარმოებისა და მომსახურების პროცესში ხდება ერთ წელზე მეტი დროის განმავლობაში მრავალჯერადად ან განუწყვეტლივ, ღირებულება კი-500 ლარი და მეტია. ასე მაგალითად:

- 2013 წლის 18 თებერვალს საქართველოს ფინანსთა სამინისტროდან სამსახურს უსასყიდლოდ გადმოეცა სხვადასხვა დასახელების აქტივი, მათ შორის მაგიდა მისადგმელი ტელეფონის ტუმბო 2 ცალი, საიდანაც ერთეულის საწყისი ღირებულება შეადგენდა 238 ლარს. სამსახურმა აღნიშნული ქონება ბუღალტრულად აღრიცხა როგორც გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივი და ამასთან როგორც 2013, ასევე 2014 წელს დაარიცხა ცვეთა 10%-ის ოდენობით.

რეკომენდაცია N4

სამსახურმა იხელმძღვანელოს საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების მიხედვით და გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს არ დაარიცხოს ცვეთა.

სამსახურის შემოსავლები

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახური ორგანიზაციებს უწევს სისტემური ადმინისტრირების მომსახურებას, რომელიც მოიცავს შემსყიდველის ვებ-გვერდის შექმნას, გამოთვლითი რესურსების მიწოდებას, შემსყიდველის სხვადასხვა სახის სისტემების სამსახურის სერვერზე განთავსებას, მის ადმინისტრირებას და ტექნიკურ მხარდაჭერას და სხვა.

სამსახურის განმარტებით, სისტემური ადმინისტრირების მომსახურებისთვის გაწეული დანახარჯების კალკულაციას აწარმოებს სისტემური ადმინისტრირების დეპარტამენტი. წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად, მომსახურების ფასი დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, თუ რა მოცულობის და ღირებულების სასერვერო რესურსების გამოყენება ხდება კონკრეტული შემსყიდველის მიერ, თუმცა აუდიტის ჯგუფმა ვერ მიიღო საკმარისი რწმუნება იმის თაობაზე, თუ რამდენად ზუსტ და

შესაბამის ფინანსურ გათვლებს ემყარება სამსახურის მიერ შემუშავებული ფასწარმოქმნის პოლიტიკა.

რეკომენდაცია N5

სამსახურის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვროს სამართლებრივი აქტით სათანადო ეკონომიკური და ფინანსური დასაბუთებების საფუძველზე.

სამსახური შესაბამისი ნორმატიული აქტების⁷ საფუძველზე სხვადასხვა ორგანიზაციას უწევს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის (eDocument) და ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის (eHRMS) დანერგვის, მხარდაჭერისა და ადმინისტრირების მომსახურებას. eDocument მომსახურების გაწევა ხდება როგორც სასყიდლით, ასევე უსასყიდლოდ, ხოლო eHRMS - მხოლოდ უსასყიდლოდ. უნდა აღინიშნოს, რომ არც ზემოთ ხსენებული ნორმატიული აქტები და არც სამსახურის დებულება არ განსაზღვრავს აღნიშნული მომსახურებების უსასყიდლოდ გაწევას.

რეკომენდაცია N6

სამსახურმა ფინანსთა სამინისტროს (სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანო) წინაშე დასვას საკითხი eHRMS და eDocument მომსახურებების უსასყიდლოდ გაწევის სამართლებრივი გზით რეგულირებასთან დაკავშირებით.

გადასახადები

2013 და 2014 წლების მოგების გადასახადის დეკლარაციების მიხედვით, საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის ერთობლივ შემოსავალში ასახულია კომერციულ ბანკში განთავსებულ დეპოზიტზე შესაბამისი წლების მიხედვით დარიცხული სარგებელი (პროცენტი), მაშინ როდესაც სსკ-ის 131-ე მუხლის მიხედვით, ლიცენზირებული ფინანსური ინსტიტუტიდან მიღებული პროცენტები მიმღები პირის მიერ ერთობლივ შემოსავალში არ ჩაირთვება. 2013 წელს ერთობლივ

⁷ საქართველოს მთავრობის 2012 წლის 20 თებერვლის N57 დადგენილება „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს მთავრობის 2012 წლის 21 თებერვლის N64 დადგენილება „სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებებში საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემის მინიმალური სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.

შემოსავალში ზედმეტად ასახულმა თანხამ შეადგინა 9,039 ლარი, ხოლო 2014 წელს 31,049 ლარი.

2014 წლის ქონების გადასახადის დეკლარაციის მიხედვით საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ დაბეგრილია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი⁸, რომლის გამოყენება სამსახურის მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში არ მომხდარა. სსკ-ის 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ქონების გადასახადისაგან გათავისუფლებულია სახელმწიფო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის ის ნაწილი, რომელიც გადაცემული აქვს საბიუჯეტო ორგანიზაციას, გარდა ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებული მიწისა. შესაბამისად, ზედმეტად გადახდილმა გადასახადის თანხამ შეადგინა-2,479 ლარი.

რეკომენდაცია N7

სსიპ საფინანსო-ანალიტიკურმა სამსახურმა ისარგებლოს საქართველოს საგადასახადო კოდექსით ცალკეულ გადასახადებთან დაკავშირებით დადგენილი გადასახადისგან გათავისუფლების უფლებით.

შესყიდვები

სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის (შემდგომში „სამსახური“) მიერ 2013 წლის განმავლობაში განხორციელებულია 4,966,006.50 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები, მათ შორის სატენდერო პროცედურებით 4,521,828.0 ლარი, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - 444,178.5 ლარი.

2014 წელს სამსახურის მიერ განხორციელებულია 4,174,828.80 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები, მათ შორის სატენდერო პროცედურებით 3,724,454.24 ლარი, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით - 450,374.56 ლარი.

2015 წლის 01 ივლისამდე სამსახურის მიერ განხორციელებულია 18,817,298.61 ლარის ღირებულების სახელმწიფო შესყიდვები, მათ შორის სატენდერო პროცედურებით - 3,749,582.0 ლარი, ხოლო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

⁸ დიდი ხეივნის ქ. N3, საკადასტრო კოდი N:01.18.05.002.056

- 15,067,716.61 (მათ შორის მაიქროსოფტის ლიცენზიების⁹ ღირებულებაა - 14,853,473.61 ლარი) ლარი.

შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების განსაზღვრა, ბაზრის კვლევა

აუდიტით დადგინდა, რომ სამსახურის მიერ ბაზრის კვლევა ხორციელდება როგორც პოტენციურ მომწოდებელთან ელექტრონული მიმოწერის გზით, ასევე ზეპირი გამოკითხვითაც¹⁰, რაც არ იძლევა საშუალებას მივიღოთ საკმარისი რწმუნება, თუ რამდენად სრულყოფილად ხორციელდება სამსახურის მიერ მიწოდების ბაზრის კვლევა.

სამსახურს ცალკეულ შემთხვევებში არასრულყოფილად აქვს განხორციელებელი მოსამზადებელი სამუშაოები შესასყიდი საქონლის ტექნიკური სპეციფიკაციების განსაზღვრის მიზნით, სახელმწიფო შესყიდვისას გადასახდელი ფასისა და მისაღები ხარისხის ოპტიმალური შეფარდების უზრუნველსაყოფად, რაც გამოიხატება იმაში, რომ არასაკმარისი სამუშაოა გაწეული შესყიდვის ობიექტის მახასიათებლების, სავარაუდო ღირებულების, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან დაკავშირებული დოკუმენტებისა და ხელშეკრულების პროექტის მომზადების მიზნით. ასე მაგალითად:

- უწყვეტი ელექტრომომარაგების სისტემის (დიზელ-გენერატორის კომპლექტი, უწყვეტი კვების წყარო, უწყვეტი კვების წყაროს გაგრილების სისტემა, რეზერვის ავტომატური გადამრთველი) სახელმწიფო შესყიდვის მიზნით სამსახურის მიერ 2015 წლის 14 მაისს გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში (SPA150013920) გამარჯვებულად ცნობილი იქნა შპს „იუ-ჯი-თი“, რომელთანაც 2015 წლის 17 ივნისს გაფორმებულია ხელშეკრულება 610,000 (ექვსას ათი ათასი) ლარის ღირებულების უწყვეტი ელექტრომომარაგების სისტემის მიწოდებაზე თანმდევი მომსახურებით - მონტაჟით/ინსტალაციით. უნდა აღინიშნოს, რომ სამსახურის მხრიდან შესასყიდი ობიექტის სავარაუდო ღირებულება 610,000 ლარის ოდენობით განსაზღვრულია ისე, რომ არც სატენდერო დოკუმენტაციაში და შესაბამისად მიმწოდებელთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, განსაზღვრული და მოთხოვნილი არ ყოფილა შესასყიდი ობიექტის ტექნიკური მდგომარეობა. კერძოდ, სატენდერო დოკუმენტაციაში არ არის დაზუსტებული შესასყიდი უწყვეტი ელექტრომომარაგების სისტემა უნდა ყოფილიყო ახალი

⁹ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 იანვრის N38 განკარგულება

¹⁰ სამსახურის განმარტებით

თუ ექსპლუატაციაში ნამყოფი, რამდენადაც ხსენებული ტექნიკის ფასი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მის ტექნიკურ მდგომარეობაზე.

სამსახურის მიერ კომპიუტერული ტექნიკის შესყიდვის მიზნით 2014 წლის 11 სექტემბერს გამოცხადებული SPA140021334 ტენდერის სატენდერო დოკუმენტაციაში შესასყიდი ზოგიერთი საქონლის აღწერილობაში გამოყენებულია კონკრეტული მოდელის მონაცემები, რაც ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს¹¹. შესყიდვების სააგენტოს რეკომენდაციების მიხედვითაც, სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციები არ უნდა იყოს მორგებული ერთი რომელი ბრენდის ან მოდელის პროდუქტზე. სატენდერო განცხადებაში მითითებულია შესასყიდი პლანშეტური კომპიუტერების ტექნიკური მახასიათებლების (ზომები და წონები) ზუსტი ოდენობები, რაც ემთხვევა კონკრეტული ბრენდის/მოდელის მონაცემებს. მაგ: სატენდერო კომისიის მიერ შესასყიდი 7.9" დისპლეის მქონე პლანშეტური კომპიუტერის ზომებად მითითებულია 200x134.7x7,5, ხოლო წონა 341გრ. ანალოგიურად, 8.4" დისპლეის მქონე პლანშეტური კომპიუტერის ზომებად მითითებულია 212.8x125.6x6,6, ხოლო წონა 298გრ. ეს მონაცემები წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემოთავაზებული კონკრეტული საქონლის მონაცემებს-Samsung Galaxy Tab 8.4 (sm-t705) 4g 16 gb და Ipad mini with retina display 4g 16 gb space gray).

რეკომენდაცია N8

შესყიდვის ობიექტის სპეციფიკაციების განსაზღვრისას ყურადღება მიექცეს შესასყიდი ობიექტის ტექნიკურ მდგომარეობას და სავარაუდო ღირებულება განისაზღვროს აღნიშნულის გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოფილი იქნეს გადასახდელი ფასისა და მისაღები ხარისხის ოპტიმალური შეფარდება.

გადაუდებელი აუცილებლობით განხორციელებული შესყიდვა

სამსახურის მიერ შპს „iphone+“-სგან 2013 წლის 21 იანვრის ხელშეკრულებით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (გადაუდებელი აუცილებლობა) შესყიდულია 1,885 ღირებულების 1 (ერთი) ერთეული პლანშეტური კომპიუტერის კომპლექტი. სამსახურისათვის მიმწოდებელს საქონელი უნდა მიეწოდებინა

¹¹ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12¹ მუხლის მე-6 პუნქტის მიხედვით შესყიდვის ობიექტის აღწერილობაში დაუშვებელია სასაქონლო ნიშნის, პატენტის, მოდელის, წარმოშობის წყაროს ან მწარმოებლის მითითება.

ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში. შესყიდვა განხორციელებულია ფინანსთა სამინისტროს თანხმობით (24.01.2015. წ. N7335-02). სამსახურის მიერ სამინისტროსადმი გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ მიზანშეწონილად მიაჩნიათ გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (გადაუდებელი აუცილებლობა) სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, შეძენილი იქნეს პლანშეტური კომპიუტერი. წერილში არ არის მითითებული თუ რა ვითარებები დაედო საფუძვლად გადაუდებელი აუცილებლობის მოტივით ხსენებული შესყიდვის განხორციელებას.¹²

სამსახურის განმარტებით, ხორციელდებოდა eDocument სისტემაში პლანშეტური კომპიუტერის პლატფორმის მოდულის და მობილური აპლიკაციის შექმნის ამოცანა და ამ ამოცანის სასწრაფო ტესტირების, დანერგვისა და უმოკლეს ვადებში რეალურ რეჟიმში გაშვებისათვის აუცილებელი იყო პლანშეტური კომპიუტერის შესყიდვა.

რეკომენდაცია N9

გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვისას დასაბუთებული იქნას თუ რა ვითარება დაედო საფუძვლად შესყიდვის განხორციელებას.

უფროსი აუდიტორი




მერაბ ზაიცევი

უფროსი აუდიტორი



ლაშა ჭანტურიშვილი

აუდიტორ-ასისტენტი



ვახტანგ პერტაია

აუდიტორ-ასისტენტი



ირაკლი ქანთარია

¹² „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის მიხედვით გადაუდებელი აუცილებლობაა ვითარება, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას და რომელიც არ შეიძლება დაფიქსირდეს წინასწარ განსაზღვრული, ან/და რომლის დადგომა არ არის გამოწვეული შემსყიდველი ორგანიზაციის ქმედებით, ან რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენოს საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივ ინტერესებს ან შემსყიდველი ორგანიზაციის ქონებას. ამასთან, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად გადაუდებელი აუცილებლობისას, შესყიდვის ობიექტის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული პრობლემების მოსაგვარებლად საჭირო ვადებს.